საქართველოს მწერალთა კავშირის
რესპუბლიკური
ბიბლიოთეკა

იდიდე მარად, ჩემო სამშობლოვ!

საბჭოჲლოს ხაჲ

უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების გამოცემა

გამოცემის მე-11 წელი

№ 6 (166)

მარტი,

1967 წელი



ჩახრუხაძე.

მოქანდაკე ი. ნიკოლაძე

დედა-საქმოსნოს ამბები

განახლებული ველი

თხუთმეტი წლის წინათ საქართველოს რუკაზე გამოჩნდა დიდი ცისფერი ლაქა და ლურჯი ხაზი. ეს ლაქა ზღვაა, მაგრამ განსაკუთრებული ზღვა. ზღვა შექმნეს მუშებმა და კოლმეურნეებმა. თბილისის ზღვა — დაე ნუ არის ყველაზე დიდი იმ ზღვებს შორის, რომლებიც საბჭოთა ადამიანებმა შექმნეს, მაგრამ მაინც ხომ ზღვაა, რომელიც კეთილნაყოფიერ გავლენას ახდენს გარემოზე, სიცოცხლეს ანიჭებს გარშემო მდებარე მიწებს. ლურჯი ხაზი კი ზემო სამგორის სარწყავი სისტემის მაგისტრალური არხია.

სამგორის ქვაბული, რომელიც ახლა თბილისის ზღვას უკავია, ოდესღაც მდინარე მტკვრის კალაპოტი იყო. მაგრამ მრავალი საუკუნის წინათ მდინარემ ახალი გზა აირჩია, მდინარის ძველ კალაპოტს კი მოგვაგონებს მხოლოდ ადგილის დამახასიათებელი რელიეფი.

ზაფხულობით ეს ადგილები გადახრუკული იყო, ვერ ნახავდით ვერც ერთ ბუჩქსა თუ ხეს, მხოლოდ მთების ძირას, სადაც ნაკადულები მოჩუხჩუხებდნენ, გაშენებული იყო რამდენიმე პატარა სოფელი.

გლეხკაცი ოდითგანვე ოცნებობდა სამგორის ველის მორწყვაზე. ისევე, როგორც ხალხის ბევრ სხვა ოცნებას, მასაც მხოლოდ ჩვენს ეპოქაში, საბჭოთა ეპოქაში ეწერა ახდენა.

წყალი, წყალი იყო საჭირო მწყურვალი ველის დასარწყულებლად, რათა აყვავებულიყო ბაღები და ვენახები. მდინარე იორის ბაზაზე აშენდა ზემო სამგორის სარწყავი სისტემა. მდინარე ახალი ხელოვნური კალაპოტით მიიკვლევს გზას. აშენდა წყალსაცავი. და აი მოვიდა მაცოცხლებელი წყალი.

როგორია ახლა ეს ველი? გავყვეთ არხს კვალდაკვალ. მარცხნივ და მარჯვნივ წყლის გასანაწილებლები ჩამწკრივებულა, ირგვლივ გაშენებულია სოფლები, მუშათა დაბები. აქ ჩამოსახლდნენ მთის რაიონების მცირემიწიანი გლეხები, მათთვის სახელმწიფომ ააშენა სამი ათასზე მეტი სახლი. ყოველ ოჯახს აქვს ორ-სამოთახიანი ბინა, სკარმიდამო ნაკვეთი, სოფლებში არის კლუბები, კინოები, საავადმყოფოები, სპორტული მოედნები, საყოფაცხოვრებო მომსახურების სახელოსნოები, ყოველივე ეს ახალმოსახლეებისათვისაა განკუთვნილი.

ახლა გლეხები ველს წალკოტს უწოდებენ, გლეხკაცის მარჯვენამ უზარმაზარი ველები ნაყოფიერ მინდვრებად, ბაღჩებად, ხილის ბაღებად, ზვრებად გადააქცია. აქ გაშენდა ახალი მსხვილი სპეციალიზებული მებოსტნეობა-მერძევეობის, მებაღეობის, მევენახეობის საბჭოთა მეურნეობები. ისინი თბილისისა და რუსთავის მოსახლეობას აწვდიან ბოსტნეულს, ხილს, ყურძენს, რძეს, ხორცს, კვერცხს. მიწათმოქმედთა შრომამ და მელიორაციამ გადაწყვიტა ასიათასობით ადამიანის კვების პროდუქტებით შეუფერხებელი მომარაგების პრობლემა.

სულ 10-12 წლის წინათ ახლანდელი თბილისის ზღვის მახლობელ ადგილს ვარკეთილს უწოდებდნენ. ახლა აქ ვარკეთილის საბჭოთა მეურნეობაა. ამ საბჭოთა მეურნეობას ხელმძღვანელობს შესანიშნავი ადამიანი, სოფლის მეურნეობის ენთუზიასტი და ნოვატორი იაკინთე ირაკლის-ძე კავილაძე. მას დიდი სიყვარულით და პატივისცემით იხსენიებს საბჭოთა მეურნეობის კოლექტივი, ყველა, ვინც ერთხელ მაინც შეხვედრია მას.

გარგარსა და ატამს, გემრიელ სუფრის ყურძენს იძლევა ვარკეთილის საბჭოთა მეურნეობის მიწა. შარშან მეურნეობამ თბილისელებს გაუგზავნა 1.250 ტონა ყურძენი, დიდძალი ხილი. ხუთწლედის დამლევისათვის ყურძნის მთლიანი გამოსავლიანობა მიაღწევს სამმილიონნახევარ კილოგრამს, ხოლო კიდევ რამდენიმე წლის შემდეგ — ექვს მილიონ კილოგრამს, გადიდდება ვაშლის, მსხლის, ატმის, გარგარის, ქლიავის, ბლის წარმოება.

სოფლის მეურნეობის პროდუქტების სიუხვის შექმნაში ღირსეული წვლილი შეაქვთ განახლებული სამგორის ველის მიწათმოქმედთ.

ი. რჩეულიშვილი.

მოგზაურობა სასიამოვნო იქნება

ვის არ ხიბლავს მოგზაურობა შავი ზღვით, მისი ნაპირების გაყოლებით, რომლებიც სუბტროპიკულ მცენარეებში ჩაფლულან? წლითიწლობით ფართოვდება ტურისტული მოგზაურობა შავი ზღვით. ხომალდებზე ყოველგვარი პირობაა შექმნილი დასვენებისათვის — მოხერხებული საძილე კაიუტები, რესტორანები, ბარი, მაღაზიები და კიოსკები, საცურაო აუზები... ხოლო საღამოობით გემბანზე უკრავს მხიარული მუსიკა და დამსვენებლები აწყობენ ცეკვებს, გართობებს, მხატვრული თვითმოქმედების კონცერტებს.

დიზელმავლები „რუსეთი“ და „აფხაზეთი“, შავი ზღვის სანაოსნო ფლაგმანი „ადმირალი ნახიმოვი“ გაზაფხულიდან გვიან შემოდგომამდე იქცევიან მცურავ ტურისტულ ბაზებად. ტურისტები „რუსეთითა“ და „აფხაზეთით“ იმოგზაურებენ მარშრუტით სოჭი-სევასტოპოლი-ოდესა-იალტა-ნოვოსიბირსკი-ბათუმი-სოხუმი-სოჭი. ეს საინტერესო მოგზაურობა 18 დღეს გაგრძელდება. „ადმირალი ნახიმოვი“ რეისს დაიწყებს ოდესაში, ტურისტები გაივლიან სევასტოპოლს, სოჭს, სოხუმს, ბათუმს, იალტას, ოდესას.

წავსადგურებში დგომის დროს ტურისტები გაეცნობიან საქართველოს, უკრაინისა და რუსეთის კურორტების ღირსშესანიშნაობებს. ისინი დაათვალიერებენ მუზეუმებს, გამოფენებს, ისტორიულ ძეგლებს, მოაწყობენ ქალაქგარეთ ექსკურსიებს.

„რუსეთისა“ და „აფხაზეთის“ რეისები სოჭიდან დაიწყება 15-18 აპრილს და დამთავრდება 14-18 ნოემბერს. „ადმირალი ნახიმოვი“ პირველ რეისში ოდესიდან გავა 8 მაისს და მარშრუტებს დაამთავრებს 17 სექტემბერს. ეს ხომალდები სეზონში მოემსახურებიან 15 ათასზე მეტ ტურისტს.

ოქრო არ არის, მაგრამ ფასით არ ჩამოუვარდება

ასე უთხრა ჩვენს კორესპონდენტს რუსთავის ქიმიური კომბინატის აზოტიანი სასუქების ქარხნის დირექტორმა ა. სალარიშვილმა, რომელსაც ხელის გულზე ეყარა წვრილი რუხი კრისტალები. ეს იყო ამონიუმის გვარჯილა. თავისი სიტყვების დასადასტურებლად ა. სალარიშვილმა საინტერესო ციფრები დაასახელა. ერთი ტონა ამონიუმის გვარჯილა ჰექტარზე იძლევა ჰოკავლის ნამატს: ხორბლისას — 4-5 ტონას, ბამბისას—2-3 ტონას, შაქრის ჭარხლისას 25-30 ტონას, კარტოფილისას — 18-20 ტონას.

რუსთაველმა ქიმიკოსებმა გადაწყვიტეს გეგმის გადაჭარბებით ათასობით ტონა მინერალური სასუქი აწარმოონ.

რუსთაველ ქიმიკოსთა სიტყვა და საქმე ერთია. წლის დამდეგიდან ქარხნის კოლექტივმა გეგმის გადაჭარბებით გამოუშვა ბევრი ამონიუმის გვარჯილა, ნატრიუმის გვარჯილა და სხვა პროდუქცია.

აზოტიანი სასუქების ქარხანაში გააძლიერეს ბრძოლა საწარმოო დანაკარგების წინააღმდეგ. მაგალითად, სპილენძამაკური გაწმენდის საამქროს მუშაკებმა გადაწყვიტეს მთლიანად აღმოფხვრან ორთქლის, სპილენძ-ამიაკის ხსნარის, ტექნიკური წყლის არანორმირებული დანაკარგი.

საწარმოში ფართოდ ხორციელდება მექანიზაცია და ავტომატიზაცია. სითბური აგრეგატების გადაყვანამ ავტომატურ მართვაზე ერთისამად გაადიდა შრომის ნაყოფიერება.

ქარხანაში შექმნილია მეთანისა და ნახშირორჟანგის კონვერსიის შეთავსებული აგრეგატებით ავტომატური მართვის სისტემა სამართი გამოსათვლელი მანქანის საშუალებით. ამ მანქანის გამოყენება ტექნოლოგიური პროცესების სამართავად საშუალებას იძლევა მივიღოთ აზოტ-წყალბადის ნარევი მინიმალური დანახარჯებით. იგი ტექნოლოგიური სქემით ზუსტად არეგულირებს ორთქლის, ბუნებრივი გაზის, ტექნიკური ჟანგბადისა და ჰაერის ხარჯვას, აზოტ-წყალბადის ნარევის თვითღირებულების შემცირება ხელს უწყობს აგრეთვე საამქროს აგრეგატებზე დატვირთვის ოპტიმალურ განაწილებას. ყოველივე ეს, საბოლოო ანგარიშში, საშუალებას იძლევა მივიღოთ იაფი ამიაკი.

ქარხანა კვლავ იზრდება, ფართოვდება. აქ შენდება საამქროთა ახალი კომპლექსები.



სურათზე: გმირის ხსოვნისადმი მიძღვნილ მიტინგზე სსრ კავშირის სახალხო არტისტი ს. ზაქარიაძე სინჯარაძის საფლავის მიწას გადასცემს გმირის მეუღლეს ლ. ნორაკიძეს.

უკვდავება

შორეულ იმიერ-კარპატეთში, ქალაქ უჟგოროდის ძმათა სასაფლაოზე განისვენებს ქართველი ჯარისკაცი ირაკლი დავითის-ძე სინჯარაძე, რომელიც გმირულად დაიღუპა მომძე უკრაინელი ხალხის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში 1944 წლის 12 ნოემბერს.

მას შემდეგ დიდი დრო გავიდა, მაგრამ გმირის ხსოვნა კვლავ ცოცხლობს ადამიანთა გულში. ამას წინათ უჟგოროდელებმა ქართველი მეომრის საფლავიდან ერთი მუჭა წმიდათაწმიდა მიწა გაუგზავნეს სსრ კავშირის სახალხო არტისტს სერგო ზაქარიაძეს. ისინი გულისტკივილით წერდნენ, რომ ვერ მოხერხდა დაღუპული გმირის მშობლებისა და ნათესავების მონახვა და ამიტომ ჯარისკაცის საფლავის მიწას უგზავნიან მას, ყველა ჯარისკაცის სიმბოლური მამის გიორგი მახარაშვილის უბადლო სახის შემქმნელს.

ეჭვი არ იყო, რომ კაცმა, რომელმაც გმირის საფლავი ობელისკით შეამკო, სწორად ვერ ამოიკითხა ჯარისკაცის გვარი, ნაცვლად ი. დ. სინჯარაძისა ქვაზე ამოკვეთილა ი. დ. ციწკარაძე. ამან გააძნელა მისი ვინაობის დადგენა. მაღე გამოირკვა, რომ სამგვარო-სასიცოცხლო ბრძოლაში დაღუპული ქართველი ჯარისკაცი ნამდვილად არის ირაკლი დავითის-ძე სინჯარაძე დუშეთის რაიონის სოფელ ანანურიდან, სადაც ახლაც ცხოვრობს მისი უმცროსი ძმა სიმონი, ხოლო ცხაკაიას რაიონში — ჯარისკაცის ქვრივი, მასწავლებელი ლუბა ნორაკიძე და ვაჟი დიმიტრი, თბილისში ერთ-ერთ სამკერვალო ფაბრიკაში შრომობს ირაკლის ქალიშვილი ნუნუ.

ამ დღეებში გმირის სამშობლო სოფელ ანანურში, ადგილობრივი სკოლის შენობაში, სადაც ი. სინჯარაძე მასწავლებლობდა, მრავლად მოიყარეს თავი კოლმეურნეებმა და სოფლის ინტელიგენტებმა, დაღუპული მებრძოლის ნათესავებმა და მეგობრებმა, სტუმრებმა დედაქალაქიდან და რაიონული ცენტრიდან. გმირის სოფელს ესტუმრა სსრ კავშირის სახალხო არტისტი, ლენინური პრემიის ლაურეატი სერგო ზაქარიაძე, რომელმაც თან ჩამოიტანა მეომრის საფლავიდან აღებული წმიდათაწმიდა მიწა.





ძაბი

ბედნიერია ის ერი, რომელსაც მრავლად ჰყავს კულტურისა და მეცნიერების დარგში მოღვაწე ადამიანები. სწორედ ასეთი ერია ქართველი ერი, მრავალმა ქართველმა მეცნიერმა გაუთქვა სახელი საბჭოთა მეცნიერებას. მხცოვან მეცნიერებს მხარში უდგას და ნაყოფიერ შრომას ეწევა მეცნიერთა ახალგაზრდა თაობა. ახალგაზრდა მეცნიერთა შორის მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავთ ძმებს რევაზ და თამაზ გამყრელიძეებს. მათი ცხოვრების გზა სამ ათეულ წელს ითვლის, მათი მეცნიერული ბიოგრაფია კი საკმაოდ მდიდარია. რევაზი მათემატიკურ მეცნიერებათა დოქტორია, თამაზი კი — ენათმეცნიერი.

რევაზმა მოსკოვის ლომონოსოვის სახელობის უნივერსიტეტის მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტი დაამთავრა. უნივერსიტეტში მან თავიდანვე მიიქცია გამოჩენილი საბჭოთა მათემატიკოსის აკადემიკოს ლევ პონტრიაგინის ყურადღება. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ იგი ჩარიცხეს ასპირანტურაში. აქ მან სწავლა განაგრძო აკადემიკოს ლ. პონტრიაგინის ხელმძღვანელობით.

ასპირანტურის დამთავრების შემდეგ რევაზი სამუშაოდ მიიწვიეს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სტეკლოვის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტში.

ახალგაზრდა მეცნიერის პირველმავე შრომებმა ფართო საერთაშორისო აღიარება ჰპოვა. 1953 წელს რევაზმა წარმატებით დაიცვა დისერტაცია ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად. სადისერტაციო ნაშრომი „ალგებრულ მრავალნაირობათა ჩერნის ციკლების გამოანგარიშება“ ღირსშესანიშნავ მეცნიერულ მიღწევად იქნა აღიარებული.

1956 წლიდან აკადემიკოსმა ლ. პონტრიაგინმა და მისმა მოწაფეებმა, რომელთა შორის რევაზ გამყრელიძეც იყო, მუშაობა დაიწყეს ოპტიმალური მართვის თეორიასა და რხევის თეორიაში ჩვეულებრივი დიფერენციული განტოლებების გამოყენებაზე. პონტრიაგინისა და მისი მოწაფეების აღმოცენა ის იყო, რომ იგი ოპტიმალური პროცესების მათემატიკური დასაბუთებისათვის გამოეყენებინათ.

ამ ამოცანის წარმატებით გადაჭრაზე მუშაობდნენ მეცნიერები როგორც საბჭოთა კავშირში, ისე საზღვარგარეთ.

რ. გამყრელიძე 1956-1960 წლებში ზედიზედ აქვეყნებს ნაშრომებს, რომლებშიც მიღებულია უმნიშვნელოვანესი შედეგები და, რომლებიც, პროფ. განტმახერის სიტყვებით რომ ვთქვათ, „საფუძვლად დაედო ოპტიმალური პროცესების თეორიის ურთულეს და უნატიფეს ნაწილებს“. ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფ. ა. ფელდბაუმი აღნიშნავს, რომ „ამჟამად არა თუ წარმოებს ამ მეთოდით გაანგარიშების ამოცანათა ამოხსნა, არამედ მუშავდება მართვის აპარატურაც, რომლის მოქმედების პრინციპიც ამ მეთოდზეა დამყარებული“.

ზემოხსენებული ნაშრომებისათვის რ. გამყრელიძეს 1960 წელს ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი მიენიჭა. ეს ნაშრომები ცალკე თავების სახით შევიდა მონოგრაფიაში „ოპტიმალური პროცესების მათემატიკური თეორია“.

საბჭოთა მათემატიკური მეცნიერების ეს დიდი მიღწევა სათანადოდ დაფასდა: ნაშრომის ავტორებს, მათ შორის რ. გამყრელიძეს, 1962 წლის ლენინური პრემია მიენიჭათ.

აღნიშნულ ნაშრომს ფართოდ გამოეხმაურნენ საზღვარგარეთაც. სამი წლის მანძილზე გამოქვეყნდა ამ მონოგრაფიის ექვსი გამოცემა: იგი ითარგმნა და დაიბეჭდა ინგლისურ ენაზე ამერიკის შეერთებულ შტატებში (ნიუ-იორკში 1962 წ.), გერმანულ ენაზე — მიუნხენში (დასავლეთი გერმანია, 1963 წ.). მეორე ინგლისური გამოცემა გამოქვეყნდა ლონდონში 1964 წელს; ფრანგული — პარიზში, 1966 წელს; ჩეხური — 1965 წელს. ამჟამად გამომცემლობა „ვილეი“ (ნიუ-იორკი-ლონდონი) ბეჭდავს მესამე ინგლისურ გამოცემას.

ამერიკელმა მათემატიკოსებმა ნაშრომის ერთ-ერთი ავტორი რ. გამყრელიძე 1962 წელს მიიწვიეს ამერიკის უნივერსიტეტებში ოპტიმალური პროცესების მათემატიკური თეორიის საკითხებზე ლექციების წასაკითხად. თვენახევრის განმავლობაში იგი ინგლისურ ენაზე კითხულობდა ლექციების ციკლს ნიუ-იორკის, ვაშინგტონის, პრინსტონის, მიჩიგანის, მინესოტის, კალიფორნიის და სხვა უნივერსიტეტებში; რ. გამყრელიძე მიიწვიეს აგრეთვე ნიუ-იორკში, გამოჩენილი მათემატიკოსის კურანტის ინსტიტუტში.

ლექციებს დიდი ინტერესი, მრავალი შეკითხვა და აზრთა გაზიარება მოჰყვა.

1965 წელს რ. გამყრელიძე ლექციებს კითხულობდა მიჩიგანის უნივერსიტეტში, ხოლო ამის შემდეგ მან პარიზის სორბონის უნივერსიტეტის და საფრანგეთის ატომური ენერგიის კომისარიატის მიწვევით რამდენიმე ლექცია წაიკითხა პარიზში — სორბონის უნივერსიტეტში. ლექციას ესწრებოდნენ თვალსაჩინო ფრანგი მეცნიერები, რომელთაც დიდი შეფასება მისცეს მის ლექციებს.

1965 წლის სექტემბერ-ოქტომბერში რ. გამყრელიძე თავის მშობლიურ ქალაქშია — ლექციებს კითხულობს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ლენინის სახელობის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში და საქართველოს მათემატიკურ საზოგადოებაში.

ამჟამად რ. გამყრელიძე მუშაობს მოსკოვში, სტეკლოვის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტში, არის მოსკოვის ერთ-ერთი ცენტრალური მათემატიკური პერიოდული ორგანოს ჟურნალ „მატემატიკის“ მთავარი რედაქტორი. მოწვეულია თბილისის უნივერსიტეტში ახლად დაარსებული გამოყენებითი მათემატიკის პრობლემურ ლაბორატორიაში შეთავსებით სამუშაოდ.

1967 წლის იანვრიდან რამდენიმე თვით (ა. წ. ივნისამდე) რ. გამყრელიძე ლექციების წასაკითხავად იმყოფება კალიფორნიის (ქ. ლოს-ანჯელოსი, აშშ) უნივერსიტეტში, აგრეთვე კანადის უნივერსიტეტებში.

მოწინავე ქართველ მეცნიერთა რიგებს შეემატა მეორე ახალგაზრდა მეცნიერი — რევაზ გამყრელიძის უმცროსი ძმა, აღმოსავლეთის ძველი ენების მკვლევარი თამაზ გამყრელიძე. მან თბილისის უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი დაამთავრა. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ იგი ასპირანტურაში დატოვეს აღმოსავლეთის ძველი ენების (აქადური, ურარტული, ხეთური) შესასწავლად. ასპირანტურის წარმატებით დამთავრების შემდეგ 1956 წელს მან დაიცვა დისერტაცია ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად.

თ. გამყრელიძემ ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს მიიპყრო ყურადღება, როგორც აღმოსავლეთის ძველი ენების სტრუქტურისა და ისტორიის საკითხთა მკლევარმა. მისი ნაშრომები „ხუნების სისტემა ურარტულში“ და „ურარტული ენის გრამატიკული სტრუქტურის ზოგიერთი საკითხი“ მეტად მნიშვნელოვანი წვლილია ურარტული ენის შესწავლის საქმეში. 1964 წელს თ. გამყრელიძე მიიწვიეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ახლად დაარსებული კიბერნეტიკის ფაკულტეტის სტრუქტურული ლინგვისტიკის კათედრის გამგედ, სადაც იგი კითხულობს ლექციებს სტრუქტურულ ლინგვისტიკაში.

თამაზ გამყრელიძისათვის მეტად მნიშვნელოვანია 1960 წელი, როცა მოსკოვში მიმდინარეობდა აღმოსავლეთმცოდნეთა 25-ე მსოფლიო კონგრესი. ამ კონგრესზე ახალგაზრდა მეცნიერი წარსდგა მოხსენებით „ჩრდილო სირიის აქადური დამწერლობა და ხეთური დამწერლობის წარმოშობის პრობლემა“, სადაც ავტორმა უარყო ამ საკითხების ირგვლივ წინათ გაბატონებული შეხედულება და წამოაყენა სრულიად ახალი თეორია, რაც გაიზიარეს მსოფლიოს გამოჩენილმა ხეთოლოგებმა.

1956-1962 წლების მანძილზე თ. გამყრელიძე ბევრ ნაშრომს აქვეყნებს, რომლებმაც მარტო ავტორს კი არა, მთელ ქართულ და საბჭოთა აღმოსავლეთმცოდნეობას გაუთქვა სახელი.

1962 წელს თ. გამყრელიძემ წარმატებით დაიცვა დისერტაცია ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად.

განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი ნაშრომები: „არაინდოევროპული ელემენტები ხეთურ ენაში“, „ჩრდილო სირიის აქადური დამწერლობა და ხეთური დამწერლობის წარმოშობის პრობლემა“, „ხეთური ენა და ლარინგალური თეორია“, „თანხმოვანთა გადაწევა ხეთურ ენაში“.

ეს ნაშრომები ინგლისში ითარგმნა. ხეთოლოგიის უდიდესმა სპეციალისტმა, გერმანელმა მეცნიერმა ფრიდრიხმა თ. გამყრელიძის მიერ მიღებული შედეგები შეიტანა თავისი „ხეთური ენის გრამატიკის“ ახალ გამოცემაში, გამოჩენილმა ამერიკელმა ინდოევროპისტმა ლემანმა კი თ. გამყრელიძის ნაშრომი „ხეთური ენა და ლარინგალური თეორია“ ისტორიულ ლინგვისტიკის უმნიშვნელოვანეს გამოყვლევად მიიჩნია. ცნობილმა ენათმეცნიერმა, ბულგარეთის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა გეორგიევმა და ამერიკელმა ლინგვისტმა პუველმა განაცხადეს, რომ თ. გამყრელიძემ თავის უკანასკნელ ნაშრომებში — „თანხმოვანთა გადაწევა ხეთურ ენაში“ — ნათელი მოჰფინა ხეთური ენის ბევრ დღემდე აუხსნელ მოვლენას.

ამ ღირსშესანიშნავი ნაშრომებისათვის თ. გამყრელიძე 1963 წელს ამერიკის ლინგვისტური საზოგადოების ნამდვილ წევრად აირჩიეს.

ანთროპოლოგიურ და ეთნოგრაფიულ მეცნიერებათა მეშვიდე მსოფლიო კონგრესზე, რომელიც მოსკოვში მიმდინარეობდა, თ. გამყრელიძემ წაიკითხა მოხსენება თემაზე: „ანატოლიური ენები და ინდოევროპული ტომების მცირე აზიაში გადასახლების პრობლემა“. კონგრესის მონაწილეთა შორის ამ მოხსენებამ დიდი გამოხმაურება ჰპოვა. მოკამათეებმა აღნიშნეს, რომ თ. გამყრელიძე მოსკოველ ლინგვისტ ვ. ივანოვთან ერთად საბჭოთა ხეთოლოგიის ფუძემდებელია და რომ მოხსენებაში გაშუქებული ურთული პრობლემატიკა მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს მცირე აზიის ეთნოგენეტიკური პრობლემების შესწავლას.

1965 წელს თ. გამყრელიძემ ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატ გ. მაჭავარიანთან ერთად გამოაქვეყნა კაპიტალური ნაშრომი „სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში“. ეს ნაშრომი ახალ ეტაპს ჰქმნის ქართველურ ენათმეცნიერებაში და სახავს მომავალი საკვლევაძიებო მუშაობის ბრწყინვალე პერსპექტივებს. აღნიშნულმა ნაშრომმა დიდი გამოხმაურება ჰპოვა როგორც საბჭოთა კავშირში, ისე საზღვარგარეთ.

მრავალი ქართველი, რუსი და საზღვარგარეთელი ენათმეცნიერი, მათ შორის გამოჩენილი ქართველოლოგი, ოსლოს უნივერსიტეტის რექტორი პროფ. ჰანს ფოგტი აღიარებს, რომ ეს ნაშრომი ახალი ფურცელია ქართველური ენათმეცნიერებისა და მას უდიდესი მნიშვნელობა აქვს როგორც ინდოევროპული, ისე ზოგადი ენათმეცნიერებისათვის.

ახალგაზრდა მეცნიერების — რევაზ და თამაზ გამყრელიძეების და მათი თაობის სხვა მეცნიერთა წარმატებები ერთხელ კიდევ ადასტურებს, რომ მოწინავე ქართველ მეცნიერთა უფროსს და საშუალო თაობებს ჰყავთ საიმედო ცვლა, რომელიც ღირსეულად იცავს ქართული მეცნიერების სახელსა და ავტორიტეტს.

ი. ქართველიშვილი.

* * *

სურათებზე: თამაზ (მარცხნივ) და რევაზ გამყრელიძეები.

„ქართველნი“

დევიდ ლენგის წიგნი საქართველოზე



ლონდონში „ტემზ ენდ ჰადსონის“ გამომცემლობამ სერიით „უძველესი ხალხები და ქვეყნები“ გამოუშვა **დევიდ მარშალ ლენგის** წიგნი **„ქართველნი“**. წიგნის მთავარი რედაქტორია დოქტორი გლინ დენიელი.

„ქართველნი“ პირველი წიგნია, რომელშიც ინგლისურ ენაზე მოცემულია ზოგადი მიმოხილვა იმისა, თუ რა წვლილი შეიტანა ამ მომხიბვლელმა ხალხმა მსოფლიოს ცივილიზაციაში. წიგნი მოიცავს პერიოდს თამარ მეფის ოქროს ხანამდე. ავტორს ოც წელზე მეტი ხნის მანძილზე ორიგინალური წყაროებით შეუსწავლია რუსული და ქართული ენები და ისტორია, ამასთან ყოფილა ახლო აღმოსავლეთში, რუსეთსა და თვით საქართველოში.

წიგნი შეიცავს შემდეგ თავებს: ზოგადი დახასიათება და წარმოშობა; სპილენძი და ბრინჯაო; ტომები, მითები, მოგზაურთა ნაამბობი; კავკასიის იბერია და კოლხეთი კლასიკურ ეპოქაში; საქართველოს ფეოდალური მონარქია; ადრე შუასაუკუნეთა ხუროთმოძღვრება და ხელოვნება, ლიტერატურა და მეცნიერება.

წინასიტყვაობაში დევიდ მარშალ ლენგი წერს: ამ წიგნს ვერ დავწერდი, რომ არ დამხმარებოდნენ „ჩემი შესანიშნავი მეგობრები, ჩემი კოლეგები საბჭოთა საქართველოში, რომლებიც გულითადად მხვდებოდნენ იქ ოთხჯერ ჩასვლის დროს და მაჩვენეს თავიანთი დიდებული სამშობლოს თითქმის ყველა ძირითადი რაიონი, ბევრი მთავარი ძეგლი და ღირსშესანიშნავი ადგილი“.

პროფესორი დევიდ ლენგი მადლობას უძღვნის პროფესორ ვახტანგ ბერიძეს, პროფესორ პაატა გუგუშვილს, საქართველოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოების თანამშრომელს ნოდარ კოჭლაშვილსა და სხვა ქართველ მეგობრებს, რომლებმაც ხელი შეუწყვეს ამ ნაშრომისათვის მასალების შეგროვებაში.

რედაქციისაგან: გაზეთ „სამშობლოს ხმის“ რედაქცია გთხოვთ თქვენ, ჩვენი გაზეთის მკითხველებს, გამოთქვათ თქვენი აზრი დევიდ ლენგის ამ წიგნის შესახებ.

სამშობლოს ხმა

№ 6, მარტი, 1967 წ.

ოსური ლიტერატურის ისტორია

ცხინვალი. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამხრეთ ოსეთის სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტში დამთავრდა მუშაობა „ოსური ლიტერატურის ისტორიის“ პირველ ტომზე. ეს არის ოსური ლიტერატურის ისტორიის შექმნის პირველი ცდა, რომელმაც განსაკუთრებულ აყვავებას მიაღწია საბჭოთა ხელისუფლების წლებში.

ამ შრომის ავტორი, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი ნაფი ჯოსუითი — „სამშობლოს ხმის“ კორესპონდენტს ესაუბრა თავის ნაშრომზე.

— „ოსური ლიტერატურის ისტორია“, — თქვა მეცნიერმა, — სამ ტომად გამოიცემა. იგი მოიცავს პერიოდს რევოლუციამდელი დროიდან დღემდე. უკვე დამთავრდა მუშაობა პირველ ტომზე, რომელშიც ჩამოყალიბებულია ოსური ლიტერატურის მთელი რევოლუციამდელი ისტორია. ეს ტომი ოთხი თავისაგან შედგება. პირველ ტომში განხილულია ოსური ლიტერატურის შექმნის საკითხი და გაანალიზებულია განმანათლებლის ივანე იალღუზაძის (გაბარაევის) პოემა „ალუღუზიანი“, რომელიც XVIII საუკუნის დამლევს განეკუთვნება. ტომში მოცემულია ქრისტიანული განათლების, ოსური დამწერლობის შექმნის ისტორია. ეს თავი მთავრდება თემირბულატ მანსუროვის ნაწარმოებთა კვლევით.

მეორე ნაწილი ეძღვნება ოსური ლიტერატურის აღორძინებას. იგი მოიცავს რეფორმის პერიოდს. აქ გარჩეულია ინალ კალუკოვის, კოსტა ხეთაგუროვის. ალექსანდრე კუბალოვისა და ბლაუკა გურჯიბეკის ნაწარმოებები.

ეროვნული მხატვრული ტრადიციის საბოლოო ჩამოყალიბებას ეძღვნება პირველი ტომის მესამე თავი. აქ ლაპარაკია ოსური პროზის, დრამატურგიისა და თეატრის შექმნაზე. გარჩეულია სესკა გადიევის, ხოხა ტლაძატოვის, არსენ კოკოევის, ელბასტუკო ბრიტაევის, როზა ტლაძატოვის და სხვების ნაწარმოებები.

დასკვნითი ნაწილი ეძღვნება ისეთ თეორიულ პრობლემებს, როგორიცაა ლიტერატურა და ფოლკლორი, ლიტერატურა და ეროვნული თვითშეგნება.



იაკობ ნიკოლაძე, რომელმაც საწყისი დაუდო ახალ ქართულ რეალისტურ ჭანდაკებას, დაიბადა ქ. ქუთაისში 1876 წელს. მამა გიშრის ოსტატი იყო, ზრუნავდა ბავშვების განათლებისათვის, მაგრამ იაკობი ჯერ კიდევ ოთხი წლისა იყო, მამა რომ გარდაეცვალა. დარჩა უპატრონოდ დიდი ოჯახი. პატარა იაკობი დედამ ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში მიაბარა. იგი ვერ უძლებს ძველი სკოლის ბიუროკრატიზმს და ანებებს თავს სწავლას. მიდის ბათუმში ძმასთან. იქ შედის ახლად გახსნილ საოსტატო სასწავლებელში მექანიკური სპეციალობით. თავისი მასწავლებლის ფ. კოტლაროვის რჩევით 1892 წელს მიდის მოსკოვში. რადგანაც საშუალო სკოლის კურსი გავლილი არა ჰქონდა, იძულებულია

ლევან გოთუა

უგზო ქარავანი

მოთხრობა

ხელი მოიჩრდილა თურქმა. შემოუარა და ახლა გვერდიდან შეხედა.

— ალლაჰს ვფიცავ! ნოსტეველი გორგასალი უნდა იყო, გიაურო! ისკანდერი ყოველთვის იცნობს კაცურ კაცს! — ენამძიმე ქართულით უპასუხა თურქმა და გადაეხვია. — შენ ნახევს არ მოველოდი ალეპოს! არც გამხარებია აქ შენი ნახვა, ძმავ! შენ, ალბათ, იმათთან ხარ? — უკვე შემკრთალი ხმით განაგრძო საუბარი.

გორგასალმა თავი ჩაჰხარა.

— წადი მალე! ვინმე არ მოვიდეს. ვერც შენ წაუხვალ მათ ბედს.

— მეც ეგ მინდა! ამად მოვსულვარ!

უეცრივ შეტრიალდა თურქი, ფეხის ხმა თუ მოესმა.

— წადი მალე! მოსულხარ — მე შენ გეტყვი ბაირამობაა?! თავის ადგილზე საზამთრო ხომ არ გაბია. ნოსტეში გონიერი იყავ, აქ რამ მოგიყვანა?

— მხარი მეცვალა, ისკანდერ! მხარი! გზა დამიბნიეს!

— იქ ჩადი... ყავახანაში. მალე მოვალ. მე გაგივლევ გზას. მე ისკანდერი მქვია. მადლის გადახდა მადლით ვიცი. — თავად მოახურა ძონძები, აბჯარი შეუურა გორგასალს და შეიკეტა ალაყაფი.

* * *

ყავახანის კუთხეში მყუდროდ მიჯდნენ. დახლთან სთვლემდა პატრონი. ბიჭმა მოართვა ყავა და გაეცალა.

ისკანდერ-თურქი და გორგასალი დიდხანს უსიტყვოდ უმზერდნენ ურთიერთს. გორგასალი აუჩქარებლივ მარცვლავდა კრიალოსანს. წყვილ-წყვილად მისდევდნენ თითებს თუ ფიქრებს სპილოს ძვლიდან მოკვეთილი თავის ქალები. თურქმა უთითო ხელზე დაიხედა, თანაც გორგასალის მაჯას შეეხო.

— მაჩვენე ერთი!

გორგასალმა მარჯვენა მკლავი გაიშიშვლა. ნიდაყვიდან მაჯამდე ჩასდევდა შეხორცებული ჭრილობის ნაწიბური.

— ნიშანი მეც დამრჩა, შენი არ იყოს!

მოკვეთილი თითები ჩაუგულისხმა გორგასალმა.

დინჯად შეექცეოდნენ ყავას და წარსულს იგონებდნენ.

ოცი წლის ამბავი იყო. საქართველოზე ერთ-ერთი ლაშქრობის დროს თურქთა ლაშქარს ისკანდერიც ახლდა. მოთარეშედ მოხვდა ქართლში. აქ შეხვდა გორგასალს.

გორგასალი მეწინავე გუშაგად იდგა სოფლის განაპირა ორღობეში. დაზვერვის დროს წააწყდა მას ისკანდერ-თურქი.

შეიბნენ მარტონი. მხნედ შეაკვესეს ხმლები. შესაფერისნი შეხვდნენ ურთიერთს. დიდხანს იბრძოლეს უშედეგოდ. არც ვინ მოსდიოდათ ჭომაგად.

ცაცია ხელსაც კარგად ხმარობდა გორგასალი — აქ უგებდა ილეთს, უკან-უკან იწყო დახევა — გაათამამა მტერი, მერმე ხმალი შეათამაშა და ხელი გამოიცვალა. მომხვდურმა დაასწრო, მარჯვენა მკლავს სიგრძით გაუკრა ხმალი — ნიდაყვიდან მაჯამდე დააჩინა ღრმა ნაჭდევი, კვლავ მოუნაცვლა მეორედ, მაგრამ გორგასალმა ცაცია ხელით ქვემოდან ამოუქნია ხმალი. ვადის ბარში აწვდინა ფოლადი, სამი თითი წაათალა უმალ.

ხმალი გაუვარდა თურქს. გორგასალმა არ იკადრა ხმალდახმალ მისვლა, თავადაც გაავდო. მარცხენა ხელითვე მოასწრო, საკვარი ნეკნებს შუა დასცა. მერმე ხელდახელ მისწვდა და წამოაჭიცა მიწაზე.

ისკანდერ-თურქი გონზე რომ მოვიდა, ხელფეხშეკრული ეგდო ნაომარ ადგილზე. შორს კი ბრძოლის ყიჟინა ისმოდა.

მალე მობრუნდა გორგასალი, თურქების დამარცხება ამცნო ტყვეს.

— წყალი! — ეხვეწებოდა დაჭრილი ისკანდერი.

თურქული კარგად იცოდა გორგასალმა.

— შენ ქვეყანაში განა წყალი არ იყო, აქ რომ მოდიოდი?

— ეჰ! ალეპოში წყალიც კარგია, მაგრამ... ვინ დამაყენა, გურჯო? განა შენ კი სულ ყველგან შენი ნებით დადიხარ?

ენიშნა გორგასალს თურქის სიტყვა, თან მომაკვდავი ეგონა, წყალი არსად იყო მახლობლად, ღობეზე გადვიდა, საზამთრო მოუტანა. სატევარი გაიძრო. ღარში სისხლი დარჩენოდა სატევარს, სამოსის კალთაზე შეაწმინდა თურქს და საზამთრო მოუჭრა, წყურვილი მოუკლა დაჭრილს. თავადაც შეექცა.

სისხლის ფერი იყო საზამთროც.

— ალლაჰი იყოს ამ ყარფუზის სალბუნის მოწმე! — მადლობის ნიშნად წაილუღლუღა დაჭრილმა.

დრო გავიდა. დაშოშმინდა ქვეყანა, ჭრილობა გადაიტანა თურქმა. გორგასალმა მოარჩინა თავისი ტყვე. თურქების თარეშის დროს დამწვარი სახლი ერთად ააშენეს. ნოსტეს ციხეზეც ერთად იმუშავეს. სამი წლის შემდეგ თურქების მეციხოვნეთ ჩაჰგვარა ერეკანს, იქ გაათავისუფლა, ერთი თანამესოფლეც გამოიხსნა სამაგიეროდ.

განშორებისას ძმურად გადაჰკოცნეს ურთიერთი. და აი, ახლა ისკანდერ-თურქის სამშობლოში — ჰალაბში, ბედად თუ მარცხად, შეხვდნენ ერთმანეთს.

— ჰო-ჰო! ცაციობით მაჯობე მაშინ! — როხროხებდა თურქი.

— არა, გულით გაჯობე... მე ჩემს მიწაწყალზე ვიყავი.

— ახლა კი?

— ახლა კი... მე წაგებული ვარ, ძმაო... აი ისინიც, დილეგში რომ არიან, — კრიალოსანივით მარცვლავდა სიტყვებს.

— ეჰ, იმათ კი ავი დილა გაუთენდებათ... — ჩუმად ჩაიდუდუნა თურქმა.

— ყველას?

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სამშობლოს ხმა“ № 4, 5.

საჭრეთლის დიდოსტატი

იაკობ ნიკოლაძის დაბადების 90 წლისთავი

შევიდეს სტროგანოვის სასწავლებელში. ჩრდილოეთის ჰავა ნიკოლაძისათვის მეტად სუსხიანი და მკაცრი აღმოჩნდა. იგი იძულებულია გზა ეძებოს სამხრეთისაკენ. არჩევანი ოდესაზე შეჩერდა. იქ შედის სამხატვრო სასწავლებელში.

1899 წელს იგი მიემგზავრება პარიზს, სადაც შედის ნატიფი ხელოვნების სკოლაში, მუშაობს ფელიგერთან, ხოლო 1900 წელს, მისი გარდაცვალების შემდეგ, გადადის მერსიესთან. ამ ხანებში ნიკოლაძე ასრულებს „ხევსურს“. 1901 წელს ნიკოლაძე პარიზიდან საქართველოში ჩამოდის. ამ ხანას ეკუთვნის მის მიერ შესრულებული ქართული თეატრის კორიფეების ვასო აბაშიძის, კოტე მესხის და სხვათა პორტრეტები. 1903 წელს ამ ნაწარმოებებით მონაწილეობას იღებს გამოფენაზე და სამართლიანად იმსახურებს ვერცხლის მედალს. 1904 წელს მიდის ფლორენციაში, ეცნობა იტალიის აღორძინების შედევრებს. „ამ ორმა დიდმა ოსტატმა, მიქელანჯელომ და დონატელომ თითქოს მხრებში მომკიდეს ხელი და, თუ შეიძლება ასე ითქვას, მიმაფრენდნენ თავიანთი გზით. მე ვიფიქრე, რომ ეს ორი ოსტატი დამიმორჩილებს და ისეთ გზაზე გამაჭანებს, რომ შეიძლება დავკარგო ჩემი ფეხით სიარულის უნარი; სჯობია მოვშორდე მიქელანჯელოს და დონატელოს და საკუთარ ფეხზე დავდგე-მეთქი“.


იგი კვლავ პარიზს უბრუნდება. 1905 წელი. რევოლუცია რუსეთში. არავითარი დახმარება სამშობლოდან... საჭიროა ლუკმაპურისათვის ბრძოლა პარიზში. იქ ხომ რამდენი ათასი მხატვარი და მოქანდაკეა უმუშევარი! ოცნება ოგიუსტ როდენთან მუშაობაზე, და ეს სანატრელი დებიუტიც: „როდენი ელოდებათ ხვალ ან ზეგ დილის ათ საათზე. მედონ. ვილა ბრიანი. გისურვებთ წარმატებას. ნატალია გოლუბევა“. ოცნება ასრულდა, ნიკოლაძე როდენთან მუშაობს. ამ პერიოდის შესახებ ლექციების საინტერესო ციკლი წაიკითხა სამშობლოში დაბრუნებულმა მოქანდაკემ, ხოლო შემდეგ წიგნად გამოსცა „წელიწადი როდენთან“. იგი მასთან მუშაობდა 1906 წ. ნოემბრიდან 1908 წ. იანვრამდე.

როდენის შემოქმედებამ, თუმცა მოკლე დროით, ახალგაზრდა მოქანდაკის ნაწარმოებებს თავისი კვალი დაჩნია. ამ ხანას ეკუთვნის „ქარი“, სადაც განსაკუთრებით ჩანს მოქანდაკის პესიმისტური განწყობილება. ქარისაგან გათოშილ ფიგურაში მაყურებელი გრძნობს მოქანდაკის სამარტოვეს, სევდას, რაც ასე ბუნებრივი იყო სამშობლოდან შორს გადახვეწილი მოქანდაკისათვის.

პარიზში ნიკოლაძე მონაწილეობას იღებს სამხატვრო გამოფენებზე. მხატვრულად წრეები და პრესა გულთბილად ხვდებიან ყოველ მის ახალ ნაწარმოებს. 1908 წელს ქართველები იაკობს სთხოვენ გააკეთოს თავისი ერის საამაყო შვილის ილია ჭავჭავაძის საფლავისათვის ქანდაკება და ისიც მოეშურება სამშობლოსაკენ, რათა მოიხიბლოს ვალი თავისი ერისა და დიდი მწერლის წინაშე. ესკიზი მოეწონებს. იგი კვლავ პარიზს უბრუნდება ძეგლის ბრინჯაოში ჩამოსასხმელად. 1909 წელს პარიზის სალონში გამოფინა „მწუხარე საქართველო“. „მგოსნის ილია ჭავჭავაძის საფლავზე დასადგმელი ალებასტრის ქანდაკება — საქართველოს მწუხარება შედგენილია ნიკოლაძის მიერ ხელოვნურად და მომხიბვლავად; მწუხარებით დაქანცულ-დაშვებულ ხელში უჭირავს დაფნის რტო. მართლაც რომ ეს მწუხარების ქანდაკებაა, იმ მწუხარებისა, რომელიც გულს უსალბუნებს უკვე გამქრალი მგოსნის ხსოვნას“, — წერდა ფრანგული პრესა. 1913 წლის 5 მაისს შედგა ძეგლის კურთხევა. მხცოვანმა მგოსანმა აკაკიმ ნიკოლაძის ქმნილებას გვირგვინი უწოდა.



1910-12 წწ. ნიკოლაძე მეტწილად პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწევა სამხატვრო თუ სხვა სკოლებში. ნიკოლაძე აქტიურ მონაწილეობას იღებს ქართველ მხატვართა საზოგადოების მუშაობაში. საყურადღებოა ე. ნინოშვილის ბიუსტი თავისი ფსიქოლოგიური გადაწყვეტით. აკაკისა და ნიკოლაძეს დიდი ხნის მეგობრობა ჰქონდათ. მოქანდაკემ პოეტის სახე ჯერ კიდევ 1908 წელს შექმნა. მისმა მხოლოდ ფოტომ მოაღწია ჩვენამდე. შემდეგ მოქანდაკე აკეთებს აკაკის ძეგლს ოპერის ბაღში დასადგმელად. ეს არის სახალხო მგოსნის ნამდვილი შთაგონებული, ემოციური, პოეტური მხატვრული სახე. ქართველ მხატვართა საზოგადოების სხდომებზე სისტემატურად იდგა სამხატვრო სასწავლებლის დაარსების საკითხი, მაგრამ წლების განმავლობაში მას გადაწყვეტა ვერ ეღირსა. ქართველმა ხალხმა 1922 წლის 14 მაისს იზეიმა სამხატვრო აკადემიის გახსნა, სადაც ნიკოლაძე მიწვეული იყო ქანდაკების ფაკულტეტზე პროფესორად და განყოფილების გამგედ. მის მრავალრიცხოვან მოწაფეებს მან შეაყვარა საჭრეთლის ხელოვნება, და თუ დღეს ქართულ საბჭოურ ქანდაკებას საპატიო ადგილი უჭირავს საბჭოთა სახვითი ხელოვნების ისტორიაში, ეს იაკობ ნიკოლაძის ღვაწლის შედეგია.



1922 წელს მადლიერმა ქართველმა ხალხმა ნიკოლაძეს მოღვაწეობის 25 წლის იუბილე გადაუხადა. მას მიენიჭა საქართველოს სახალხო მოქანდაკის სახელწოდება. დიდი პოპულარობით სარგებლობდა ნიკოლაძის შოთა რუსთაველის ოვალური ბარელიეფი.

გამუდმებით ქვაზე და მარმარილოზე მუშაობამ თავისი დაღი დასცა მოქანდაკის ჯანმრთელობას, მაგრამ ხანდაზმული ოსტატი თითქოს კიდევ უფრო აენთო შემოქმედებითი ცეცხლით. მოქანდაკეს უკვე ხელი უკანკალებდა, როცა ქმნილი თავისი შემოქმედების შედევრს „ჩახრუხაძეს“. მას ხელი უკანკალებდა, მაგრამ საჭრეთელი მაინც თავის ადგილს ხვდებოდა. ეს პორტრეტი ნიკოლაძის შემოქმედების დაფნის გვირგვინია. მაღალი გახსნილი შუბლი, სათნო სახე, ჩაფიქრებული გამოხედვა დიდი მოაზროვნის მეტყველი სახეა.



მოქანდაკეს სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე არ გაუშვია ხელიდან თავისი საჭრეთელი. იგი გარდაიცვალა 1951 წელს. დასაფლავებულია მთაწმინდაზე ილიასთვის შექმნილი ძეგლის ახლოს. მისი ნამუშევრები არა მარტო ჩვენს დიდ სამშობლოშია, არამედ აგრეთვე ფლორენციაში, რომში, პარიზში. ლონდონში, მელბურნში, ბერლინში და სხვ.

ირინე უზნაძე,
ხელოვნებათმცოდნეობის მეცნიერებათა კანდიდატი.

სურათებზე: ზემოდან ქვემოთ შოთა, ილია, აკაკი.

ნოვრიდან ნოვერში

— არა!.. ამ კრიალოსანს რამდენი მარცვალი აქვს? — სიტყვა გაუფადილა თურქმა.

— ორმოცდაათი თავი. დახედე. ადამიანის თავი... ჩემგან ნობათად გქონდეს, — და კრიალოსანი ორთითა ხელზე მოახვია.

უფრო მოიღრუბლა ისკანდერი.

— მეც ორმოცდაათი თავი უნდა ჩავაბარო კონიაში ხოსროვ-ფაშას. დანარჩენები კი დაბორკილები უნდა მივვგვართ. გაჰყიდიან, — კარგი მაზანდა აქვთ გურჯ ტყვეებს.

— აღარ ესმის გორგასალს.

— ორმოცდაათი!.. — იმეორებს ზარდაცემული. განა არ იცოდა თავადაც, ცუდი დღე მოელოდათ ჰყრობილთ! მაგრამ სხვისი პირიდან გაგონილი მაინც ზარდამცემი იყო ეს ბავთი.

— ვინ? მაინც ვინ? რომლები? — თავისდაუნებურად შეეკითხა თურქს.

— ყველა მოთავენი და ვარგისნი.

გორგასალს ფიქრი აერია. აზრი გაუწყდა. უნდა ჰკითხოს კიდევ, ყველაფერი უნდა გაიგოს. მაგრამ არ ძალუძს კითხვა. არ ძალუძს.

— რას აკეთებენ? რას? როგორ არიან? — ძლივს ამოღეჭა სიტყვა. და განა ეს უნდა ეკითხნა?! არა, სრულიადაც არა. აბა, რას გააკეთებენ განწირულნი.

— რას აკეთებენ? მღერიან! — მხრები შეჰყარა ისკანდერმა და მერმე თითქოს თავისთვის განაგრძო: — საკვირველი ხალხია გურჯები: მუშაობენ — მღერიან, იბრძვიან — მღერიან, ჭორწილი აქვთ — მღერიან, კვდებიან და მაინც მღერიან! ან დიდი ჭკუისაგან სჭირთ, ან დიდი უჭკუობისაგან! — მერმე სუფრაზე ორი გროში დააგდო და წამოდგა.

— მღერიან! სულ მღერიან! — იმეორებდა გორგასალი და მოჩვენებითი სიდინჯით იშმუშნიდა წვერს.

— ისიც სასიკვდილოა? აი, ყველაზე ახალგაზრდა. სიმღერის წამომწყები? ბეჭანი? — ხელი გაიშვერა წვერ-ულვაშზე, მაინც შეშფოთებულად მოუვიდა შეკითხვა.

შეკრთა თურქი.

— შენი შვილი ხომ არ არის? გგავს, იცოდე!

— არა! — იცრუა გორგასალმა. რად იცრუა, რად? ალბათ, იმიტომ, რომ ეშინოდა, ტყუილის ეშინოდა — მამას სიმართლეს არ ეტყოდა ისკანდერი.

მიუხვდა თურქი ამ ნაძალადევ უარს. თავადაც მამა იყო. მასაც ჰყავდა შვილი.

— არა! იგი არა! — მანაც იცრუა, მაგრამ უცერივ დახედა კრიალოსანს და დადუმდა. ორმოცდაათი მოკვეთილი თავი უმზერდა ხელიდან. განა თავად მას არ ჰქონდა დავალებული ეს მძიმე საქმე? მასვე უნდა ჩაებარებინა კონიაში თავები და ტყვეები.

— ისკანდერ! ბეჭანი შვილია ჩემი. ერთადერთი შემრჩა. არ მომატყუო, სიმართლე მინდა ვიცოდე. იქნებ ვუსაშველო რამე.

— აბა რაღას უსაშველებ! აბა რაღას? — ვეღარ დაჰფარა ისკანდერმაც.

გორგასალმა ერთი კი ჩაჰკიდა თავი, ღრმად ამოიოხრა და მერმე უფრო ახლოს მიეახლა:

— ისკანდერ! შვილის თავსა გთხოვ! რას იტყვი?

კრიალოსანი ჩაიქნია თურქმა.

— ანგარიშითაა, უპატრონო! ჩემსას დაადებენ ორმოცდამეათეს!

— რატომ შენსას?! — გულწრფელად გაიკვირვა გორგასალმა.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში).

რესპუბლიკური ბიბლიოთეკა

საბჭოთა ქვეყანაში პირველი

თბილისის სახელმწიფო ცირკის მეზობლად სანაპიროზე მშენებლები შეუდგნენ ღია საცურაო აუზის მშენებლობას. იგი ყველაზე დიდი იქნება საბჭოთა კავშირში არსებულ აუზთა შორის. მაყურებელთა ტრიბუნები, რომლებიც ერთი მხრიდანაა დაპროექტებული, დაიტევს 6.600 კაცს. მოპირდაპირე მხარეზე იქნება პრესცენტრი დიქტორის ოთახებითა და სატელევიზიო ბაქნებით. იქვე შენდება 550-ადგილიანი ტრიბუნები პრესის მუშაკებისათვის, სპეციალისტებისა და სტუმრებისათვის.

პროექტით გათვალისწინებულია შეიქმნას ორი აუზი, მოცურავეთა, წყალბურთელთა და წყალში მხტომელთა საერთაშორისო შეჯიბრებების მოსაწყობად, ადრეთვე ბავშვთა დახურული საწვრთნელი აუზი. ზამთრობით ღია აუზებში წყალს გაათბობენ. ხოლო ყინვიან დღეს მოცურავეებს შეეძლებათ აუზში მოხვდნენ სპეციალური წყლის დერეფნით, რომელიც გასახდელთან შეაერთებს აუზს. ხუთ-შვიდ და ათ მეტრიანი კოშკები საბჭოთა კავშირში პირველად აღიჭურვებიან ჩქარული ლიფტებით.

უჩვეულო ვაზები

საქართველოში ისეთი უჩვეულო ფორმისა და ასაკის ვაზებს შეხვდებით, რომ სრულიად არღვევენ ჩვეულებრივ წარმოდგენას ამ მცენარის შესახებ. საქართველოს მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის მევენახეობის აგროტექნიკის განყოფილების უფროსი მეცნიერი თანამშრომელი **ა. მათიაშვილი** აწარმოებს დაკვირვებას ბებერ, ძლიერ მსხმოიარე მრავალშტამბიან და სხვა იშვიათ ვაზებზე. მისი აზრით, ასეთი ვაზების ბიოლოგიის შესწავლა გაფართოებს მცენარის საწარმოო შესაძლებლობათა საზღვრებს.

ამ კოლექციის ზოგიერთი ვაზი. გურჯაანის რაიონის სოფელ ჭანდარში კოლმეურნე **ზაქარია ნანიაშვილის** ეზოში ხარობს სუფრის ჯიშის ვაზი „ქიშმიში“, რომელიც 38 წლისაა. კარგი მოვლის შედეგად ვაზი ისე გაიზარდა, რომ ხეს დაემსგავსა. მისი ორმეტრიანი ტანის წრეხაზი 55 სანტიმეტრია, მრავალწლოვანმა რქებმა კი 80 კვადრატული მეტრი ფართობის კარავი შექმნეს.

1959 წელს ზ. ნანიაშვილმა ამ ვაზზე 460 კილოგრამი ყურძენი დაკრიფა. მაშინ ვაზმა გამოისხა 700-ზე მეტი მტევანი. შემდგომ წლებში კი მისი მოსავლიანობა კვლავ იზრდებოდა და 525 კილოგრამს მიაღწია, ცალკეული მტევნები ორ კილოგრამს იწონიდნენ. ახლა კოლმეურნემ დაამთავრა გასხვლა. ახლაზარდა რქები განლაგებულია ორი მეტრის სიმაღლე ჰორიზონტალურ სადრდენზე. გულდაგულ გაისხლა შარშანდელი უნაყოფო რქები. კოლმეურნე ყოველწლიურად ვაზის ირგვლივ რვა მეტრი რადიუსით ბარავს ნიადაგს, შეაქვს მინერალური და ორგანული სასუქები.

ა. მათიაშვილის აზრით საკარმიდამო ნაკვეთში ასეთი მოსავლის მოწევა ფართო მასშტაბით შეიძლება, მთავარია მცენარისათვის ნიადაგობრივი და საჰაერო კვების საუკეთესო პირობების შექმნა. განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს მწვანე ოპერაციების შესრულებას იმ ვარაუდით, რომ ვაზის ფოთლებს რაც შეიძლება მეტად ანათებდეს მზე, რაც აძლიერებს ფოტოსინთეზს ყვავილობის წინ.

ქართული ვაზის „პატრიარქად“ ითვლება ასი წლის ვაზი, რომელიც გიგანტურ თუთის ხეს შემოხვევია ვანის რაიონის სოფელ ყუმურში. მისი ტანი უზარმაზარ გველივით გაწოლილა მიწაზე, რქები კი ხეს აჰყოლია და მის ტოტებში გადახლართულა. საოცარი სურათი წარმოგიდგებათ: ხის ტოტებს შორის თუთასთან ერთად ჩამოკიდებულია ყურძნის მძიმე მტევნები.

ა. მათიაშვილი აპირებს მომამზადოს ნაშრომი ვაზის უჩვეულო ფორმების და მათ შორის სამეურნეო თვალსაზრისით ყველაზე ძვირფასი ვაზების მასობრივი განვითარების პერსპექტივების შესახებ.

კომპოზიტორი... ხუთი წლისაა


1966 წლის ზაფხულში მოსკოვში, ჩაიკოვსკის სახელობის კონკურსზე იუპიტერების შუქში მოექცა პატარა, ოთხი წლის გოგონა, რომელმაც ყვავილები მიართვა ფრანგ პიანისტს ფრანსუა-ჟოელ ტიოლიეს.

ეს პაწია იყო თბილისელი ნანა გაბაშვილი, რომელსაც არავინ არ იცნობდა. თავიდანვე ვიტყვით — ნანა კომპოზიტორია!

ხომ ძნელი წარმოსადგენია, მაგრამ მაინც ასეა. გოგონა ორი წლისა იყო, თავისი სიმღერა „ბურატინო“ რომ მიუძღვნა საყვარელ თოჯინას. მას შემდეგ მან დაწერა მთელი რიგი სიმღერები, ვალსები, საფორტეპიანო პიესები და სონატები. დიახ, ნორჩი კომპოზიტორის ორმოცდაათამდე ნაწარმოები იძლევა საზრდოს ფიქრებისათვის, ეჭვებისა და იმედებისათვის. აქ მინდა მოვიყვანო კომპოზიტორ რევაზ ლაღიძის სიტყვები: „ეს გოგონა პირდაპირ ალმოჩენაა, ნაპოვნია! მისი ასაკისათვის ეს გენიალურია!“

საქართველოს თითქმის ყველა წამყვანი კომპოზიტორი ერთხმად აღნიშნავს გოგონას არაჩვეულებრივ ნიჭს, მისი ნაწარმოებების ჰარმონიულობასა და მელოდიურობას. ფრთხილად გამოთქვამს აზრს კონსერვატორიის პროფესორი პავლე ხუჭუა. „გოგონა ძალიან ნიჭიერია, ეს უდავოა, — ამბობს იგი, — მაგრამ მე მახსოვს რამდენიმე შემთხვევა, რომ ასეთი ვუნდერკინდები აენთებოდნენ და ძალიან მალე ჭრებოდნენ. ნანა ნიჭიერია, მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ კმარა, საჭიროა სწორად აღვზარდოთ იგი“.







სურათებზე: ნანას რომ მოუსმინა, რევაზ ლაღიძე აღტაცებული იყო; ძმა გია ხალისით უწევს აკომპანიატორობას; ასოების წერას კი ახლა იწყებს.

ფოტო გ. კიკვაძისა.

ჭაბუა სიხარულიძე,
პროფესორი, მეცნიერების
დამსახურებული მოღვაწე

სხვა საქართველო სად არის...



ჩემი ფიქრები საქართველოს ბუნების აუწერელ სილამაზეზე ყოველთვის ფოლკლორულ ექსპედიციებთან არის დაკავშირებული. უცნაურია, მაგრამ ასეა. თითქოს მამჩნევენო ბუნების ტრფიალს, ჩემი მთქმელები თავიანთ რეპერტუარს მშობლიური კუთხის დამახასიათებელი სილამაზის ამსახველი ნაწარმოებებით იწყებენ. საქართველოს მთასა და ბარში ფოლკლორული მოგზაურობის ზოგი ეპიზოდი წარუშლელად ჩამრჩა მეხსიერებაში.

პირველად ვარ ხევსურეთში. ბარისახოში არ შევჩერებულვართ. ათენგენობის დღესასწაულს გვინდა მოვუსწროთ არხოტში. არხოტისაკენ გადასასვლელი ბილიკი არაგვს წაუერცხია. გადავიარეთ გველეურთას ტყით — დათვების საბუდარი რომ არის. გავიარეთ ცხრა მთა. როშკას მივაღწიეთ. ერთიმეორის გვერდითაა ვეებერთელა ლოდები და სადგომები. მოლექსეთა მოძებნა ძნელი არ არის. მაგონდება დიდი პოეტის სიტყვები: „ყველა ხევსური ვიცი დანტეა“. ჩვენი მასპინძელიც, რა თქმა უნდა, კარგი მოლექსეა.

გავყურებ როშკაზე წამომდგარ საჭიხვე კლდეებს. ღრუბლები მართლაც არ ეშვებიან ჭიუხებს.

ეამთენიისას ექსპედიციის ერთი წევრის აღტაცებულმა შეძახილმა გამომაღვიძა. რას ხედავს თვალები, ბრჭყვიალებს ყინულის უზარმაზარი კოშკი. თითქოს ამომავალი მზის სხივები კი არა, ცეცხლი ანთიაო ცადაზიდულ ჭიუხზე. ღრუბლისა და ნისლის ნატამალიც არ არის მის ახლოს...

...ექსპედიცია ზემოსვანეთში მუშაობს. მულახიდან იფარისაკენ მივემგზავრებით. უღელხის გადასასვლელზე პატარა ტბასთან შევჩერდით. აქედან შესანიშნავად მოჩანს უშბაც და თეთნულდიც. მზე მიდგომია პირქუშა უშბას. ვუყურებ მის ტანზე საშიშროდ ჩაჭრილ ნაპრალებს. ქათქათა თეთნულდის წვერს კი ნისლი ბურავს. ფეხს არ ვიცვლი. მინდა დაუნისლავი ვნახო კავკასიონის დედოფალი. გამეოლმა სვანური თავზიანობით მამცნო ლოდინის ამაოება, მოიგონა თქმულება: უშბას თეთნულდი უყვარსო. თეთნულდი მორცხვია, იმალება, მიჯნურს პირს არიდებსო. ნისლი მისი ლეჩაქია, პირსაბურავიაო...

...ყვარლის რაიონში ვიმკით ზეპირსიტყვიერების ნიმუშებს. შილდიდან ნეკრესის ძველი ტაძრის სანახავად მივდივართ. გზისმკვლევია ხანში შესული მანდილოსანი, კარგი მოლექსე და მეზღაპრე. მშვენიერია საქონლით შეფენილი ალბინებული კოხტა-გორა. ჩვენი გზისმკვლევი ამ გორასთან დაკავშირებულ თქმულებას გვიამბობს: უსაზღვროდ უყვარდა ვაჟს ქალი. იგი ყოველდღე ახალ-ახალ სიმღერებს უძღვნიდა სატრფოს. ქალი უგულო და სასტიკი იყოო. მან მოთხოვა მიჯნურს ზურგზე აკიდებული შეუწყვეტელი სიმღერით აეყვანა ამ გორის წვერზე. ვაჟმა შეასრულა სატრფოს მოთხოვნა, შეუწყვეტელი სიმღერით აიყვანა იგი წვერზე და იქვე სულიც დალია. ამიტომ ეწოდა ამ გორას ქალაიყვანაო...

ბაზალეთში ვართ. გაშლილი ველიდან ხელისგულივით მოჩანს ლურჯად მოლივლივე ტბა. ხალხურ საუნჯეთა ნიჭიერი მთხრობელი მოხუცი ქალი თავის მდიდარ რეპერტუარს მშვენიერი ლეგენდით იწყებს: — ბაზალეთის ტბის ძირში ოქროს აკვანია ჩაძირული. ვინც იმას ამოიღებს, დიდების გვირგვინს დაიდგამსო. ადრე ეს ლეგენდა ილია ჭავჭავაძემ ჩაიწერა ვარიანტებად. დიდმა მწერალმა ღრმა აზრით აამაღლა იგი ბრწყინვალე პატრიოტულ ლექსში „ბაზალეთის ტბა“.

...და კიდევ ერთი ეპიზოდი ჩვენი ფოლკლორული მოგზაურობიდან: საკოორდინაციო რესპუბლიკური კონფერენციაა ბათუმში. დიდთოვლიანი ზამთარი. დაუვიწყარი მგზავრობა ბათუმიდან სოფელ ლეღვამდე. იქ ჯერ კიდევ არიან არქაული ხალხური სიმღერების შემსრულებელნი. კონფერენციის მონაწილეებმა გადაწყვეტეთ მათთან შეხვედრა. საოცრად ლამაზია თეთრი სახნით დაფარული მარადმწვანე აჭარის სოფლები. აბა, რა არის გასაკვირი, თუ აქაური მკვიდრი პირველ რიგში მისი მშობლიური კუთხის სიმშვენიერეზე ჩამოაგდებს ლაპარაკს. და განა მარტო კუთხის მშვენიერებაზე? ამ სილამაზეს ხომ ბუნების მეფე — ადამიანი აგვირგვინებს. ადამიანის სულიერსა თუ ფიზიკურ სილამაზეზე ყოველთვის გატაცებით უყებიან ქართველი მთქმელები. მძიმედ მიიკვლევს გზას თოვლში ჩვენი ავტობუსი. ვიღაც იგონებს ძველ თქმულებას „რატომ არისო საქართველოში ბევრი ლამაზი“. იგონებს, თუ როგორ გააშენა ერთმა სხვა ქვეყნის მეფემ ედემი, როგორ უნდოდა ამ ედემში ანგელოზების დასახლება... მეფის ბრძანებით შეკრიბეს მთელი ქვეყნის ლამაზი ქალები, გაუყენეს შორეულ გზას. საქართველოს რომ მოაღწიეს, ედემის მფლობელს უეცარი სიკვდილი შეიტყვეს. ქალებმა აღარ ისურვეს გზის გაგრძელება და საქართველოში დარჩნენ. ამიტომ არის საქართველოში ბევრი ლამაზი ქალიო, ასკვნის მთქმელი.

ხალხური მარგალიტების მაძიებელს ხშირად მეკითხებიან: საქართველოს რომელი კუთხეა ყველაზე ლამაზი. „საქართველოს ბუნების“ ფურცლებიდან მინდა ვუპასუხო მათ: — თუ ნახავთ ბახმაროს მისასვლელთან დაბურულ ტყეს, სადაც ასწლოვანი თუ მეტი ასაკის გიგანტური ნაძვების ტოტებიდან მიწამდეა დაშვებული ლეჩაქივით გამჭვირვალე მღილი, საყორნის მთიდან თუ გადახედავთ ჩაქუფრულ ხევებს, ყველაზე ლამაზი გურია გეგონებათ. ეწვიეთ აჭარას ციტრუსების მწიფობის დროს და მასზე უმშვენიერესი ამქვეყნად არა გეგონებათ რა. გელათიდან დაკვირდით, ხევში როგორ მიიკლაკნება წყალწითელა ან კიდევ ჭოლევის გაშლილ მდელოდან შეხედეთ ქორენას ნაპირებს და იმერეთის სილაშაზე გაგიტაცებთ. ტყიბულიდან ნაქერალა მთით ან ჯვიდან ტყეში გაჭრილი გზით ეწვიეთ რაჭას და გეგონებათ, მაშინ აღმოაჩენთ საქართველოს ყველაზე წარმტაცი კუთხე. ერთხელ მაინც დადექით სვანეთის მარადმწვანე და მარადთოვლიან მთათა შორის, შეხედეთ აქაფებული ენგურის კლდეთა შორის გიყურ დინებას და იგრძნობთ ბუნების გრანდიოზულ სილამაზეს. გორის ციხიდან ან გრემისხევის კოშკიდან

გადახედეთ მიდამოს და ქართლი წარმოგიდგებათ თავისი ბრწყინვალებით. დააკვირდით ყვარლის მთებს, ან თელავისა და სიღნაღის გალავნებიდან გახედეთ ალაზნის ველს და იგრძნობთ კახეთის სიდიადეს. შემოდგომაზე ეწვიეთ ცივ-გომბორს, ნახეთ ნარიფრად აჭრელებული ტყე. ამაზე უკეთესს რას ნახავს კაცის თვალი? საბუდარას დაბურულ ტყეში გაჭრილი გზით მიდით თიანეთში, ეს კუთხე გეგონებათ ყველაზე მშვენიერი. ახალგაზაფხულზე გაუყევით მძლავრ ტალღებად არაგვის ნაპირებს, იხილეთ აქოჩრილი ტყეები, ხასხასა მდელოები, მიდით ფშავში და ის გეგონებათ ლამაზთა შორის ულამაზესი. ადით ჯვარზე, უძველესი მონასტრიდან გადახედეთ საქართველოს ძველ დედაქალაქს, შეხედეთ, როგორ ერთვის მტკვარს არაგვი და წარმოიდგენთ მშობლიური ქვეყნის წარმტაც მშვენებას. ამგვარი განცდით შეგიძლიათ მოიაროთ სამეგრელო, ლეჩხუმი, ხევსურეთი, თუშეთი, ხევი...

შორეულ ქვეყნებში მოგზაურობიდან როცა ვბრუნდები, მაშინ განსაკუთრებით ლამაზი მეჩვენება საქართველოს მთა და ბარი, მაშინ მინდა გულში ჩავიკრა ჩვენი ქვეყანა, მივუალერსო მას პოეტთა ნაფიქრით:

საქართველოო, ლამაზო,
სხვა საქართველო სად არი!

საზღვარგარეთ ეცნობიან

ირანის საზოგადოებრიობამ ფართოდ აღნიშნა შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავი. გაზეთებმა და ჟურნალებმა გამოაქვეყნეს ბევრი სტატია დიდი პოეტის შემოქმედების, საქართველოს, ქართული კულტურის განვითარების შესახებ. იუბილეს დღეებში ირანში დაიბეჭდა გამოჩენილ ქართველ მეცნიერთა სტატიები.

სპარსული ჟურნალი „ფაიამე-ნოვინი“ (ახალი სამყარო) ერთ-ერთ თავის ნომერში მკითხველებს აცნობს საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტის დირექტორის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის **ა. ბარამიძის** სტატიას „შოთა რუსთაველი“. იქვეა დაბეჭდილი შოთა რუსთაველის ბარელიეფის რეპროდუქცია (ი. ნიკოლაძის ნამუშევარი).

აღსანიშნავია, რომ იმავე ჟურნალში დაიბეჭდა ალ. გლაიზერის სტატია, რომელშიც დახასიათებულია ძველი და თანამედროვე ქართული ფერწერა, ქართული ხელოვნება. სტატიას დართული აქვს ილუსტრაციები **ბექა ოპიზარის, ირაკლი ოჩიაურის, გურამ გაბაშვილის** ჰედური ნამუშევრებისა. „ფაიამე-ნოვინში“ დაბეჭდილია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სპარსული ფილოლოგიის კათედრის გამგის, პროფესორ **დ. კობიძის** სტატია.

გზები...

მაღალი პროფესია საჰაერო გზებია, თუმცა ორგანიზაციის სახელწოდებიდან ეს არ ჩანს — „საკლიფტმონტაჟის“ ამიერკავკასიის სამმართველო. სამმართველოს სპეციალისტები ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში მუშაობენ. ისინი ამიერკავკასიასა და ყირიმში, ჩრდილოეთ კავკასიასა და ლატვიაში დგამენ საბაგირო გზების საყრდენებს. წელს დავამონტაჟებთ თერთმეტ საბაგირო გზას, ძირითადად ჭათურაში, და 250 — ლიფტს, — ამბობს სამმართველოს უფროსი ვ. პუძულავა.

სამმართველოს მთავარი ინჟინერი ს. იუპისი, რომელიც ახლახანს დაბრუნდა მივლინებიდან და კვლავ მიემგზავრება (ათი უბანია სხვადასხვა ადგილას და ყველგან უნდა მოასწროო მისვლა), გვესაუბრება ენგურის კასკადის საჰაერო გზებზე. ურთულესი ნაგებობაა! აქ არის ოთხი საბაგირო გზა, რომელთაგან თითოეულის სიგრძე 4,1 კილომეტრია. კონსტრუქციისა და მოწყობილობის საერთო წონა 5.000 ტონაა. ხაზის ასი საყრდენი აღმართება მთებში (რელიეფი ბევრად ართულებს დამონტაჟებას).

500 ვაგონეტი ისრიალებს კარიერის მეურნეობიდან ჭაშხალამდე. ამ ვაგონეტებით ბეტონის ქარხანას დამაწოდებენ ენგურის ჭალებში ამოღებულ ღორღს, ხრეშს, ქვიშას. 800 ტონა ტვირთს გადაიტანენ ისინი საათში ერთი უბნიდან მეორეში. ვაგონეტები დახურული ტიპისაა. ინერტული მასალებისათვის განკუთვნილი ტემპერატურული რეჟიმი არ უნდა შეიცვალოს. საბაგირო გზების მართვა ავტომატურად იწარმოებს.

ენგურის უბანს სათავეში უდგას გამოცდილი მშენებელი ა. ჯიორგობიანი, რომელსაც მთავრობის ჯილდო მიენიჭა ორჯონიკიძე-თბილისის გაზსადენის მშენებლობისთვის. მისი ხელმძღვანელობით გაიყვანეს გაზსადენი თერგსა და მტკვარზე.

ენგურზე თითქმის 80 საყრდენი აღმართულა (ყველაზე მძიმე 25 ტონაა). გათვალისწინებულია, რომ გაასად ამოქმედდება საბაგირო გზა.

საგულისხმოა, რომ კაშხალის მშენებლობის დამთავრების შემდეგ საბაგირო გზებს დაშლიან და სხვა მშენებლობებზე წაიღებენ. საქმე ის არის, რომ ინერტული მასალების გადაზიდვა საბაგირო გზით სამჯერ უფრო იაფი ჯდება, ვიდრე ავტომობილით ტრანსპორტირება.

იცით, როგორ დგამენ საყრდენებს? ნამდვილად არ გეცოდინებათ, იმიტომ რომ სამმართველოს ინჟინრებმა შეიმოიღეს საბაგირო გზების საყრდენების დადგმის ახალი მეთოდი. ეს მეთოდი სამმართველოს უფროსის კაბინეტში გვიჩვენეს. მისი მაკეტი ელვისნორებული იქნება სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზეც.

წინათ ასე იყო. საყრდენის ასაწევად დგამდნენ ბეტონის მასივს, ყვრეტწოდებულ ღუზას, რომელზეც მოდიოდა მთავარი დატვირთვა. ამონტაჟებდნენ გვარლიანი ბლოკების რთულ სისტემას, გუჯუნებდნენ ჯალამბრებს, ტრაქტორებს. ერთი სიტყვით, საყრდენის დადგმას დიდი მოსამზადებელი მუშაობა სჭირდებოდა.

ახლა ყველაფერი სხვაგვარადაა. ინჟინრებმა შექმნეს ბალანსირული კონსტრუქცია (კარიბჭე), რომელიც საყრდენთან ბლოკების სისტემით არის დაკავშირებული. ჯალამბარი მაღლა სწევს კარიბჭეს. ნახევარი საათიც და საყრდენი უკვე „ფეხზეა“. მთავარი კი ის არის, რომ საჭირო აღარ არის ბეტონის მასივების აშენება, რომელთა შექმნას 20, ხშირად კი 30 დღეც სჭირდებოდა.

ო. კეკელიძე.

სპორტული გაზაფხული დაიწყო

□ ქართული ფეხბურთი დღეს
□ კვლავ ა. მეტრეველი
□ მოჰადრაკე ქალები ეჯახებიან
□ საიუბილეო სპარტაკიადა

წელს უჩვეულოდ ადრე მოვიდა ფეხბურთი ჩვენს სტადიონებზე. ვიდრე სეზონი ოფიციალურად გაიხსნებოდა, გაზეთ „სოვეტსკი სპორტის“ პრიზი იქნა დაწესებული და გუნდები ასპარეზობაში ჩაებნენ.

სამ ქალაქში — თბილისში, ბაქოსა და ტაშკენტში უძლიერესი გუნდები, ქვეჯგუფებად დაყოფილნი, ერთმანეთს ეცილებოდნენ პირველობას.

პრიზის გათამაშების მთავარი მიზანი ის იყო, რომ გუნდებს საშუალება ჰქონოდათ ადრე გამოსულიყვნენ მინდორზე, გამოეცადათ მოთამაშეები, ჩაეტარებინათ ექსპერიმენტები. ამ მთავარი სპორტული მიზნებლობები კი არ უნდა ყოფილიყო, არამედ სეზონისათვის მზადება.

თბილისის ტურნირში „დინამოც“ მონაწილეობდა, გუნდს აკლდა 6 მოთამაშე (ისინი საზღვარგარეთ იყვნენ სსრ კავშირის ნაკრებისა და ოლიმპიური ნაკრების შემადგენლობაში: მ. ხურცილავა, გ. სიჭინავა, ს. მეტრეველი, რ. ურუშაძე, მ. შერგელაშვილი, ე. ხუციშვილი).

საქართველოს მეორე გუნდი — ქუთაისის „ტორპედო“ მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდა. კოლექტივს არც ერთი წევრი არ აკლდა...

გაზეთ „სოვეტსკი სპორტის“ პრიზის წინასწარი შეხვედრები დამთავრდა, ნახევარფინალში გავიდნენ ქუთაისის „ტორპედო“, ბაქოს „ნეფტიანიკი“, მოსკოვის „დინამო“ და ალმა-ატის „კაირატი“.

ქუთაისელებმა გაგვახარეს. ყოველ შემთხვევაში მათი მწვრთნელის ა. ნორაკიძის დაპირებანი ლიტონი სიტყვები არ ყოფილა. მწვრთნელმა, როგორც ჩანს, კარგად იცოდა, რას ამბობდა.

— ჩვენი მიზანია ისე გამოვიყენოთ მოსამზადებელი პერიოდი, რომ სეზონს მომზადებული შევხვდეთ და მაღალი ფორმა მთელი ჩემპიონატის მანძილზე შევინარჩუნოთ. შევამცირებთ ვარჯიშზე განკუთვნილ დროს და მის ხარჯზე გავზრდით ვარჯიშის ინტენსიურობას. „სოვეტსკი სპორტის“ პრიზზე მატჩებში ვეცდებით რაც შეიძლება მეტი მოთამაშე გავსინჯოთ, თამაშის დროს მაქსიმალურად არ დავხარჯოთ ძალები, რადგან ვარჯიშის ინტენსიურობა ამ პერიოდში დიდია. როცა დაიწყება ოფიციალური მატჩები, პირიქით გავაკეთებთ. არავის გამოერებას არ ვაპირებთ, ტაქტიკა და მოთამაშეთა განლაგება დამოკიდებული იქნება ფეხბურთელების ინდივიდუალურ შესაძლებლობებზე. ერთი სიტყვით, ვითამაშებთ ახლებურად.

ქუთაისელები მხოლოდ ერთხელ დასჯერდნენ ფრეს, დანარჩენი მატჩები მოიგეს. დაამარცხეს „არარატი“ —4:2, თბილისის „ლოკომოტივი“ — 6:0, მოსკოვის „ლოკომოტივი“ — 1:0, თბილისის „დინამო“ — 2:0.

ნახევარფინალში ქუთაისელებმა მოუგეს ბაქოელებს (5:2) და ფინალში მოსკოვის „დინამოს“ შეხვდნენ. მოსკოველები მოედანზე სათადარიგო შემადგენლობით გამოვიდნენ (ძირითადი საზღვარგარეთ გაემგზავრა) და ალბათ, სწორედ ამან შეაშინა ქართველი ფეხბურთელები. მოსკოვის მთელი გუნდი კარში იდგა და ქუთაისელებმა ვერაფერი გაწყეს მასირებული დაცვის წინააღმდეგ. ერთ-ერთი კონტრშეტევა კი სტუმრებმა გოლით დაასრულეს და სრულიად მოულოდნელად გაიმარჯვეს.

ქუთაისელები ემზადებოდნენ ძლიერ მეტოქესთან შეხვედრისათვის და ფსიქოლოგიურად არ იყვნენ განწყობილნი სუსტ ოპონენტთან ბრძოლისათვის. ამან თავისი დაღი დასვა მათს მოქმედებას.

შავი ზღვისპირას ვარჯიშის შემდეგ „დინამომ“ თბილისში ამხანაგური მატჩი გამართა ოდესის „ჩერნომორეცთან“, გუნდი საბრძოლო შემადგენლობით თამაშობდა და გაიმარჯვა — 4:0.

თბილისის „დინამოსა“ და ქუთაისის „ტორპედოსთან“ ერთად უმაღლეს ლიგაში გამოდიან („ა“ კლასის მეორე ჯგუფში) თბილისის „ლოკომოტივი“. ბათუმის „დინამო“ და ტყიბულის „მეშახტე“. ამ უკანასკნელმა მართლაც საოცრება მოახდინა მას შემდეგ, რაც სათავეში ცნობილი ქართველი მწვრთნელი ანდრო ყორდანია ჩაუდგა. ტყიბულელებმა ზედიზედ 19 მატჩი მოიგეს, შემდეგ გაიმარჯვეს მოკავშირე რესპუბლიკების უძლიერეს გუნდებს შორის და უმაღლესი ლიგის საგზური მიიღეს. ა. ყორდანიამ კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ფეხბურთის დიდი მცოდნეა. ამისთანა სიურპრიზები მას წარსულშიც არაერთხელ გაუკეთებია.

ამ ბოლო ხანებში ძალიან ბევრი იწერება ქართველ ჩოგბურთელ ალექსანდრე მეტრეველზე. ჩვენს წინა წერილში იგი სკანდინავიის ღია ჩემპიონატზე გამგზავრებისას დავტოვეთ. მას შემდეგ ა. მეტრეველმა სამ ტურნირში მიიღო მონაწილეობა: ერთი იყო სსრ კავშირის უძლიერეს ჩოგბურთელთა ზამთრის ტურნირი, მეორე — მოსკოვის საერთაშორისო ტურნირი, მესამე — საერთაშორისო ტურნირი საფრანგეთში.

სკანდინავიის ღია ჩემპიონატზე ა. მეტრეველი მეორე იყო, ჩვენი ქვეყნის ზამთრის პირველობაზე კი კვლავ დაამტკიცა, რომ უძლიერესია საბჭოეთში და ტურნირის აბსოლუტური ჩემპიონი გახდა პირად, წყვილთა და შერეულ წყვილთა თანრიგში. თავისი მუდმივი მეტოქე ესტონელი თ. ლეიუსი დაამარცხა 3:1.

საერთაშორისო ტურნირში, რომელიც მეორე დღესვე დაიწყო, მეტრეველი ადვილად გაუსწორდა სამამულო და საზღვარგარეთელ მოწინააღმდეგეებს და ფინალში ტრავმის გამო ნ საათის ბრძოლის შემდეგ (ჯუნთის გაჭიმვა) დანებდა საფრანგეთის ცხრაგზის ჩემპიონს დარმონს (2:3). მართალია, შერეულ წყვილთა თანრიგში ა. დმიტრიევასთან ერთად მოიგო ტურნირი, მაგრამ წყვილთა შორის ფინალში იმავე ტრავმის გამო არ გამოსულა.

საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის ჩოგბურთელთა მატჩი საერთაშორისო ტურნირის დამთავრებისთანავე დაიწყო. ა. მეტრეველმა შეძლო ტკივილის დაძლევა და შესანიშნავი რევანში აიღო დარმონთან (3:1) პირად შეხვედრაში.

ამ დღეებში კი ახალგაზრდა ქართველმა ჩოგბურთელმა საფრანგეთში გამართული საერთაშორისო ტურნირი მოიგო პირად და ვაჟთა წყვილების თანრიგში (ს. ლიხაჩოვთან ერთად).

იუგოსლავიაში დამთავრდა ქალთა საერთაშორისო დღისამდი მიძღვნილი დიდი საჭადრაკო ტურნირი. აქ თამაშობდნენ მსოფლიოს უძლიერესი ქალები, რომელთა შორის მომავალ პრეტენდენტთა ასპარეზობის ცხრა მონაწილეა. თავისი შემადგენლობით ასეთი ტურნირი საერთოდ არ გამართულა.

ასპარეზობაში მსოფლიოს ჩემპიონმა ნ. გაფრინდაშვილის მონაწილეობამ დიდი ინტერესი გამოიწვია. თუმცა ნონამ გამარჯვებით დაიწყო, მაგრამ მეორე ტურში დამარცხდა ბაქოელ ტ. ზატულოვსკაიასთან. მე-14 სვლაზე მან მეტოქეს ფიგურა დაუსვა და იქვე დანებდა.

ნონა ტურნირში მეორე ადგილით დაკმაყოფილდა, პირველი ტ. ზატულოვსკაია იყო. მალე კიევში ანალოგიური ასპარეზობა გაიმართება. იქ ნონასთან ერთად პრეტენდენტთა ტურნირის მონაწილე ნანა ალექსანდრიაც გამოვა. კიევის ქალთა საერთაშორისო ასპარეზობა ბელგრადის ქალთა ფორუმზე კიდევ უფრო ძლიერი იქნება თავისი შემადგენლობით. ეს იქნება მოსამზადებელი ეტაპი პრეტენდენტთა მომავალი პაექრობისათვის, რომელიც, როგორც ჩანს, იუგოსლავიაში მოეწყობა და არა ესპანეთში, როგორც თავიდან იყო გათვალისწინებული.

მოდის აპრილი, გაზაფხული თანდათან ძალაში შედის. სპორტსმენები ღია ცის ქვეშ გამოდიან.

მომდინარე წელი სსრ კავშირის ხალხთა საიუბილეო სპარტაკიადის წელია. სპარტაკიადისათვის გაცხოველებით ემზადებიან ქართველი სპორტსმენები. ეჭვი არ არის, რომ როგორც ყოველთვის, ამჯერადაც ჩვენი რესპუბლიკის წარგზავნილები სათანადო სიმაღლეზე იქნებიან.

ო. ლორთქიფანიძე.

უჩვეულო კინოთეატრი

ალბათ არ არის საზღვარგარეთ თუ საბჭოთა კავშირში გამოსული რომელიმე ფილმი, რომ მისი პირი დაცული არ იყოს სსრ კავშირის სახფილმფონდში. ახლახან მოსკოვში, შემდეგ კი ლენინგრადში გაიხსნა ამ ორგანიზაციის სპეციალური დარბაზები. თბილისის კინოთეატრი „კოსმოსი“ მესამე ასეთი კინოთეატრია.

„კოსმოსის“ დირექტორმა შ. მანაშვილმა ჩვენს კორესპონდენტთან საუბარში თქვა:


— ჩვენი ძირითადი მიზანია გავაცნოთ მაყურებლებს საბჭოთა და საზღვარგარეთული კინოხელოვნების საუკეთესო ნაწარმოებები, რომლებიც საერთოდ არ უჩვენებიათ სსრ კავშირში ანდა უჩვენეს ძალიან დიდი ხნის წინათ. სეზონი დავიწყეთ სამი ყოველდღიური პროგრამით, რომელშიც შევიდა საბჭოთა, ამერიკული, ინგლისური, ფრანგული ფილმები. შემდეგ ვაპირებთ გამოვუშვათ ფილმების ციკლი გარკვეული თემების მიხედვით.

თითოეული თემა ოთხი ციკლისაგან შედგება. მაგალითად, თემაზე „იტალიური კინო“ ვუჩვენებთ ფილმებს, რომლებიც იტალიის კინემატოგრაფისტებმა გამოუშვიათ ოციან, ოცდაათიან, ორმოცდაათიან წლებსა და უკანასკნელ დროში.

ციკლები პერიოდის მიხედვით შევა კინოთეატრებში, რომლებიც ამერიკის შეერთებული შტატების, საფრანგეთის, ინგლისის, იაპონიის, არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების ფილმებს ეძღვნება.

უახლოეს ხანში კინოთეატრი „კოსმოსი“ გაფართოვდება. მის დარბაზს, რომელიც ახლა 430 მაყურებელს იტევს, შეემატება კიდევ ასი ადგილი.

ღიმილის კუთხე



უსიტყვო ხუმრობა.

მხატვარი შ. პარკაული.

ყვავი და გულგული

— რატომ დღისით არ გალობ? — ჰკითხა თვალხარბმა ყვავმა ბულბულს, — ხომ არ გეშინიან ქვეყნის დაცინვისა?

— არა, — უპასუხა ბულბულმა, — ქვეყნის დაცინვისა სულაც არ მეშინია; როცა ყოველი ბატი ყიყინებს, ბულბულს ხალისი არა აქვს გალობისა.

ორი ვირი

ერთხელ ლომი და ვირი ერთად დადიოდნენ ტყეში. შეხვდათ მეორე ვირი.

— გამარჯობა, ძმობილო, — უთხრა მან თავის ამხანაგს.

— ბრიყვო, ვინ არის შენი ძმობილი? — შესძახა პირველმა მრისხანედ.

— კარგი, კარგი! — უპასუხა მეორე ვირმა, — განა ლომთან რომ დადიხარ, ჩემზე უკეთესი ხარ? ნუთუ შენი თავი ვირი აღარ გგონია?

ან. თუმანიშვილი-წერეთლისა.

გაუსვენით ყურადღება ქართულ ენაზე მაუწყებელ რადიოგადაცემებს

მოისმინეთ რადიოგადაცემები ქართულ ენაზე ყოველი თვის მეორე და მეოთხე სამშაბათს 7 საათიდან 7 საათსა და 30 წუთამდე შუა ევროპის დროით: საშუალო ტალღაზე 227 მეტრი ან 1322 კილოგერცი, მოკლე ტალღაზე — 30,88 მეტრი ან 9730 კილოგერცი.

გადაცემები ქართულ და აფხაზურ ენებზე შუა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებისათვის ყოველ კვირა დღეს 17 საათსა და 45 წუთიდან 18 საათსა და 15 წუთამდე, თბილისის დროით მოკლე ტალღაზე — 50.59 მეტრი ან 5930 კილოგერცი.

სარედაქციო კოლეგია

ჩვენ ვისაუბრით:

თბილისი, ჯ. ათონელის ქ. № 25.